თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

27.02.2024
N 861

შპს ,,იფქლი დიღომის“ დირექტორს
ბატონ ნისან იოსებაშვილს.

საქართველოს რკინიგზა
1872-დან

ბატონო ნისან,

მიმდინარე წლის 13 თებერვალს თქვენი N65 განცხადების თანახმად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, რ. მამისაშვილის ქ.N 1ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთში (ს/კ 01.19.21.001.370) არსებულ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების საყრდენების გადატანის პროცედურებს, გაცნობებთ, რომ აღნიშნული ანძები ირიცხება სს ,,საქართველოს რკინიგზის“ აღმოსავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოს ბალანსზე. ასევე გაცნობებთ, რომ თქვენი ობიექტის გადამკვეთი საჰაერო ხაზით, რომლის განშტოება გადადის ჩვენი საყრდენიდან, იკვებება სს ,,თელასის“ სქა-1772.

ზემოაღნიშნულის გარდა გვინდა გაცნობოთ, რომ: „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად: „....ელექტროგადამცემი ხაზის გადატანა ხორციელდება დაინტერესებული პირის ხარჯით, ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელი პირის მიერ დადგენილი ტექნიკური პირობების შესაბამისად.“

აღნიშნულიდან გამომდინარე ელექტროგადამცემი ხაზის გადასატანად უნდა მოიპოვოთ შესაბამისი ტექნიკური პირობა სს ,,თელასიდან“ და მხოლოდ ამის შემდგომ გაიცემა სს ,,საქართველოს რკინიგზიდან“ ტექნიკური პირობა სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებისათვის.

ინფრასტრუქტურის დირექტორი
გ. მარუქაშვილი

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ.3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

სნ 202052580

N: 0123/438/24

23/01/2024

შპს "იფქლი დიღომი"-ს

დირექტორს ბატონ ნისან იოსებაშვილს

ბატონო ნისან,

თქვენი მიმდინარე წლის 10 იანვრის (სს "თელასის" 0110/386/24) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით წერილში მითითებულ ტერიტორიაზე(01.19.21.001.370) და მიმდებარედ არ გადის სს"თელასის" საკუთრებაში არსებული საჰაერო და საკაბელო ხაზები.

პატივისცემით,

ტექნიკური დირექტორი მამუკა ქობალია

შემსრულებელი:
ვ. სისაური
ტელ:2-77-99-99-1-7881